ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1757 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 სამშაბათი, 19 მარტი № 1757

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის-ფურცელი“ სურათებიანი დამატებით

1-ლ მარტიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან. და **25** კაპ. (კაპეიკები ფოსტის მარკებათ შეიძლება გამოიგზავნოს).

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რეევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—15)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274** (წლ.)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოებასთან

ისყიდება აბრეშუმის თესლი

იტალიურის, ფრანგულისა და ბაღდადის ჯიშისა. (ნ. 3—2)

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24 **ტელეფონი № 642.**

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ იწვევენ დღეს, 19 მარტს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კრებაზე.

კრების საგნებია:

1) მიმდინარე საქმეები და.

2) კომისიის მოხსენება კახეთში მორტირების სადგურის მოწყობის შესახებ.

კრებაზე არა წევრთაც შეუძლიათ დაესწრონ. (1—1)

ვ. ა. აბაშიძის იუბილე ქუთაისში

დიდებულად იდღესასწაულა ქუთაისის საზოგადოებამ ჩვენის საყვარელი მსახიობის იუბილე 14 და 15 მარტს. ამ უკანასკნელ დღეს განსაკუთრებით სახალხო, იაფ-ფასიანი საღამო იყო გამართული და, მართლაც, ბლომად დაესწრო ხალხიც და დიდის ალტაცებით, „ვაშა“-ს ძახილითა და საჩუქრებით მიეგება თავის საყვარელ „ვასო“-ს.

14 მარტის საღამო ხომ მთელი ტრიუმფი იყო იუბილიარისათვის. ქალაქის თეატრში ტევა აღარ იყო და აუარებელი ხალხი გარედ დარჩა, რადგან ადგილები აღარ იყო თავისუფალი.

აქაური დასის მეთაური ვ. ალექსი-მესხიშვილი დიდი მადლობის ღირსია იმ დაუღალავი შრომის გულისათვის, რომელიც მან დასდო იმისათვის, რომ ვ. აბაშიძის დღესასწაული შნოიანად გამოსულიყო. მართლაც, კოხტად მორთულ მოკაზმული თეატრი შიგნით და გარედ ლამაზად გამოიყურებოდა. საზოგადოებაც სადღესასწაულოდ გამზადებული იყო და მთელი საღამო ერთიანად სიამოვნებაში გაატარა.

სადღესასწაულო წარმოდგენამ ხომ საუცხოვოდ ჩაიარა. ან როგორ არ ჩაივლიდა კარგად, როცა მონაწილეობა ჩვენი სცენის საუკეთესო მსახიობთ ჰქონდათ: ნ. გაბუნია-ცაგარლისას, მ. საფაროვ-აბაშიძისას, ტ. აბაშიძეს, თვითონ იუბილიარს, ვ. ალექსი-მესხიშვილს, და სხვ. ტფილისისა და ქუთაისის სცენის შეერთებულ დასთა არტისტებმა დიდი ხალისი გამოიჩინეს სადღესასწაულო საღამოს...

ლამაზად მორთულს სცენაზედ, წარმოდგენის შემდეგ, იუბილიარს მილოცვა მიუძღვნეს სხვა-და-სხვა დაწესებულებათ და კერძო პირთ. ჩვენ აქ ვერ მოვიყვანთ მრავალ ადრესების შინაარსს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მრავალი დეპუტატები ჩვენის ნიჭიერი მსახიობის მოღვაწეობისადმი წრფელის გულით სიყვარულის გამომხატველნი იყვნენ.

ადრესები მიართვეს და შესაფერი სიტყვა მიუძღვნეს: 1) ქუთაისის ნოქრებმა, 2) ქუთ. წმ. ნინოს მე-IX კლასის მოსწავლეთ, 3) ახალ-სენაკის საზოგადოებამ, 4) სოფ. დიმის მკვიდრთა, 5) წიგნების გამომცემელ ამხანაგობამ ქუთაისში, 6) გიმნაზიის მოსწავლეებმა, 7) მოსწავლე ახალგაზრდობამ, 8) ქუთ. სახალხო თეატრის კომიტეტმა, 9) სოფ. ბაღდადის საზოგადოებამ, 10) ქუთ. ქართულმა დასმა, 11) ქუთაისის ვაჭრებმა და მრავალ სხვათ. აგრეთვე მრავალთაგან იყო წაკითხული ამ შემთხვევის შესაფერი ლექსი.

მიღებული იყო აგრეთვე მრავალი მოსალოცი დეპეშები ტფილისიდან, ბათუმიდან, ოჩამჩირიდან, კიევიდან (ქართველ სტუდენტებისგან), განჯიდან და სხვ.

ა.

საზღვარ-გარედ

სამხრეთ-აფრიკა. ჰააგიდან დეპეშით იტყობინებიან: „შალკ-ბურგერი და ლუკას მეიერი მოვიდნენ პრეტორიაში ინგლისის წინადადებით. ესენი არაფერს არ გადაწყვეტენ არა თუ შტეინის, დევეტის, დელარეის და ბოტას შეუტყობინებლად, არამედ კრიუგერის, ლეიდსის და ფიშერის თუნდ ბურების დელეგატების შეუტყობინებლადაც. ირწმუნებიან, რომ ინგლისის მეფეს ედუარდ მეშვიდეს სურს გვირგვინის კურთხევამდე მოახერხოს უთუოდ ზავის ჩამოგდება და ამიტომ იგი მზად არის ბევრი დაუთმოს ბურებს. ამ მიზნით გაჰგზავნა მან სამხრეთ-აფრიკაში ყოლსლეი და მიანდო მას მოლაპარაკება გამართოს ბურების სარდლებთან. ჰოლანდიის ყველა ეკკლესიებში პარაკლისებს იხდიან სამხრეთ-აფრიკაში მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე“.

ჰააგიდან ასეთ სანუგეშო ცნობებს იტყობინებიან, მაგრამ კაპშტადტელი გაზეთები აფრთხილებენ ყველას, დიდი იმედი ნუ გექნებათ მოკლე ხანში ზავის ჩამოგდებისაო.

✡ „მორნინგ ლიდერ“-ში დაბეჭდილია მთავარ შტაბის ერთის აფიცრის წერილი სამხრეთ-

ფელეტონი

ლამარკი თუ დარვინი?

(ევოლიუციონური კითხვები, კურტ გროტევიცისა)

ორმოცი წელიწადია დარვინი და სულ დარვინი, მაგრამ მაინც დარწმუნება ჯერ შორს არის. როგორ მოხდა, რომ პირები, რომელთაც თავი მოაქვთ თავიანთ სიფხიზლითა და რეალისმით, დარვინთან არ მოვიდნენ? ამათთვის დარვინი ფანტასტი იყო—იგი ფაქტებს გარეთ მიდის და სინამდვილეს ძალას ატანსო. საუკეთესო მეცნიერები, რომელთაც დროშაზე „დაკვირვება და გამოცდა“ ეწერათ და ამით ახალ ხანას მისცეს დასაწყისი, დარვინს „ფილოსოფოსს“ ეძახდნენ და ეს კი, მოგეხსენებათ, მეცნიერისათვის დიდი შეურაცხყოფა იყო. ქრისტიანე ერენბერგი, კარლ ერნსტ ფონ ბაერი, ბერლინის სკოლის საუკეთესო მკვლევარნი, ეჭვის თვალით უყურებდნენ ინგლისელ მეცნიერს. ეთნოლოგ ბასტიანს ცხარე კამათი ჰქონდა ჰეკელთან, რომელსაც, როგორც დარვინის მოციქულს, უფრო უწყრებოდა, ვიდრე თვით დარვინს. და ბოლოს ვირხოვიც! ორმოცი წელიწადია მუდამ და ყოველგან დარვინი, მაგრამ დარწმუნება კი ჯერ შორს არის!

როგორ მოხდა ეს? სულ უბრალოდ: დარვინისმი თავიდან ბოლომდე ჰიპოტეზა, ფილოსოფია და ფანტაზიაა, დაუსაბუთებელი და დაუმტკიცებელი. ჩვენ სულ უბრალოდ ვირწმუნეთ მისი. ბოლოს დროს კრიტიკა გამოცოცხლდა, მეცნიერება წინ წავიდა და ეხლა სცდილობს დარვინს შეებრძოლოს, გაუსწოროს, იგი დაიწუნოს, მაგრამ თვით მეცნიერება დარვინისტიულია და დარჩება კიდეც ეგეთი, სახელით მაინც. ეს კია, რომ ეს დარვინისტიული მხარე, უდიდესი მხარე დარვინისმისა, ლამარკისტიულია.

ბიოლოგიას მტკიცედ ჩაუჭიდებია ხელი იმ აზრისათვის, რომ ყოველივე ცხოველს (სიცოცხლის მქონეს), რომელიც დღეს სცხოვრობს, კავშირი და ნათესაობა აქვს მასთან, რასაც წინათ უცხოვრია, რომ ჩამომავალს სხვა სახე აქვს, ვიდრე წინაპარს, ერთის სიტყვით—გვარი გვარისაგან წარმოიშობა. ამის დასამტკიცებელი საბუთები ბევრია და წინააღმდეგისა კი—არც ერთი. თვით დიდებულთა შორის დიდებულის ლამარკის დროსაც, როცა საბუთები ასე ცხადი არ იყო, საკმარისი იყო გვართა წარმოშობის აზრის წარმოთქმა, რომ იგი ფაქტად გამხდარიყო. ამ დიდ ჭეშმარიტებას არ ეჭირვებოდა დარვინის გაჭიანურებული და ხშირად საეჭვო განმარტებანი. პირ-იქით, ვისაც კიდევ სჯეროდა გვართა უცვლელობა, იგი იყო იძულებული დაემტკიცებია თავისი აზრი. ბასტიანსა და ვირხოვს სჭიროდათ თავიანთ აზრების დაცვა და არა ლამარკს.

დარვინს, რომელმაც მთელ მსოფლიოს მოჰფინა ლამარკის აზრი, შინაარსის მხრივ არსებითად არაფერი მიუმატებია მისთვის მიუხედავათ იმისა, რომ დარვინის სწავლას უმაგალითო გამარჯვება ხვდა წილად. სამაგიეროდ, ინგლისელმა მეცნიერმა დაამძიმა ლამარკის ჭეშმარიტი აზრი ბევრის დაუმტკიცებელის ჰიპოტეზებით. მართლაც, რასაც დარვინი ამტკიცებდა—ბუნებრივი შერჩევა, არსებობისათვის ბრძოლის მნიშვნელობა, თანდათანი განვითარება, შეუხამებელის გაქრობა, მრავალ რიცხვოვან „შუა-წევრების“ არსებობა,—ყველა ეს ან სრულებით უსაბუთოა ან და მეტად გადაჭარბებული.

ლამარკმა პირდაპირ და გარკვევით გამოსთქვა აზრი ერთის გვარის მეორესაგან წარმოშობისა; მაგრამ როგორ ხდება ეს წარმოშობა, ლამარკმა ამის პასუხი არ იცოდა. დარვინმა კი სცადა პასუხის მიცემა და აი ეს არის ნამდვილი დარვინისმი და იგი მხოლოდ ჰიპოტეზაა.

ვის უნახავს, როგორ ხდება ერთის გვარის მეორისაგან წარმოშობის პროცესი? ამ ბოლოს დროს ცოტა ფარდა აეხადა ამ საიდუმლოს და აღმოჩნდა, რომ ეს პროცესი სხვა-და-სხვა ნაირად ხდება. ორის გვარის სქესებრივ შერევისაგან წარმომდგარა ახალი გვარი, რომელიც დამოუკიდებელი დარჩენილა და რომელსაც თავისი განსაკუთრებული თვისებები გადაუცია ჩამომავლობისათვის. საკვირველია, რომ უკვე ლამარკს აქვს ნაჩვენები ახალ გვარის წარმოშობის ეს მიზეზი. ბუნებაში ამ გვარი შემთხვევები უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს, ვიდრე ეს აქამდე მიღებულია. უნახავთ აგრეთვე, რომ ერთის გვარისაგან ერთბაშად, უშუაწევრებოდ, წარმომდგარა ახალი გვარი. ერთის გვარის პირდაპირი ჩამომავალი იმდენად განსხვავებული ყოფილა, რომ იძულებული ყოფილან ახალ გვარად ჩაეთვალათ იგი; ამ გვარად ეს განსხვავებული ჩამომავალი გამხდარა წინაპრად ახალის სახისა, რომელსაც საბოლოოდ შერჩენია მისი განსაკუთრებული თვისებები.

მსგავსი მოვლენები ამ უკანასკნელ დროს რამდენიმე უნახავთ. გვარი წარმომდგარა კიდევ პირდაპირის შეხამების მიზეზით. ახალ წრესა და პირობებში გადაყვანილი გვარის

აფრიკის ომიანობაზე. ავტორი მეტად უიმედოდ უცქერის ინგლისის ჯარის მდგომარეობას სამხრეთ-აფრიკაში. იგი, სხვათა შორის, ამბობს: „ლორდ კიტჩენერმა დაჰკარგა ბევრად მეტი ცხენები, ზარბაზნები და ჯარის კაცები, ვიდრე იგი მთავარ-სარდლად დაინიშნებოდა. ეხლა ჩვენ სრულებით მოქანცული ვართ და ცოტა-და ძალა დაგვრჩა; ჩვენ შეგვიძლია გავგზავნოთ სამხრეთ-აფრიკაში მხოლოდ 18 წლის ყმაწვილები, რომელნიც, რასაკვირველია, დევეტს ვერ დაიჭერენ, მაგრამ სამაგიეროდ დაავადმყოფდებიან და გაიჟლიტებიან“.

თუ ამ ინგლისელ ავტორის შეხედულება ბევრად არ არის გადაჭარბებული, მაშინ ადვილი დასაჯერებელია ისიც, რომ შალკ-ბურგერი და დუკას მეიერი ინგლისის წინადადებით მივიდნენ პრეტორიაში, და ისიც, რომ უოლსლეი ზემოხსენებულ მიზნისათვის გაჰგზავნა ინგლისის მეფემ სამხრეთ-აფრიკაში.

გერმანია. გიმნაზიების ბიუჯეტის განხილვის დროს კამათი ასტყდა გერმანელ ქალთა განათლების საქმეზე. თავისუფალ მოაზრე ვეტეკამპმა პრუსიის პარლამენტის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბიუჯეტით ვაჟების გიმნაზიებისათვის გადადებულია 3 1/2 მილიონი, მაშინ როდესაც ქალების საშუალო სკოლებისათვის დანიშნულია სულ 265 ათასი. ამიტომაც არისო, რომ ასეთი დისჰარმონიაა ხალხის განათლებასა და ინტელიგენტ წრეების განათლებას შუა. ელემენტალური სახალხო სკოლა ერთგვარია ქალებისა და ვაჟებისათვის, საქალებო საშუალო სკოლა კი ბევრად დაბლა დგას სულ უკანასკნელ სავაჟო გიმნაზიაზე. რატომ პრუსია არ ჰბაძავს სკანდინავიის ქვეყნებსა და ამერიკას, სადაც საშუალო სკოლა არა თუ ერთგვარია ქალებისა და ვაჟებისათვის, არამედ საერთოც? თვითონ გერმანიაშიაც არის მაგალითი ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლებისა ბადენში და ყველა ქებით იხსენიებს მას. პირადმა დაკვირვებამ დამარწმუნა, თუ რამდენად სასარგებლო შეიქმნა დანიის საშუალო სკოლისათვის ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლება. მასწავლებლების სიტყვით, ეს ახალი წესი, რომელიც შემოღებულია ფინანსიურ მოსაზრებათა გამო—საერთო სკოლა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ორი სკოლა ორის სქესისათვის—პედაგოგიურის მხრივაც მეტად სასარგებლო შეიქნა: ვაჟებმა ბევრი მოიგეს იმითი, რომ ქალს დაუწყეს ცქერა ისე, როგორც ამხანაგს. რაც შეეხება უმაღლესს განათლებას, ქალებს მოწყალება კი არ ეჭირვებათ, არამედ ისეთივე უფლება, როგორც ვაჟებს, თუ ისინი ისევე იქმნებიან მომზადებულნი, როგორც ვაჟები.

პრუსიის განათლების მინისტრი, როგორც მოსალოდნელი იყო, წინააღმდეგია ვეტეკამპის აზრებისა, მაგრამ, როგორც სჩანს, ქალთა საშუალო სკოლა ისეთ მდგომარეობაში ყოფილა, რომ მინისტრსაც საჭიროდ მიაჩნია მისი რეფორმა. „სამინისტრო უკვე მუშაობს ამ საკითხის გამოსარკვევადო. მაგრამ სამინისტრო თავის დღეში არ იქნება იმის თანახმა, რომ ბუნებრივი განსხვავება სქესებისა არ იცნოსო. ვისაც ჰსურს სამეცნიერო ან პროფესიონალური მოღვაწეობა, კერძო გიმნაზიებს მიჰმართოსო. სკანდინავიისა და ბადენის სისტემა ქალ-ვაჟების ერთად სწავლებისა წინააღმდეგია გერმანულ აღზრდის ხასიათისაო. უნივერსიტეტში ქალების შესვლის მხრივ მთავრობამ გააკეთა, რაც შესაძლებელი იყოო და სხვ. მინისტრს მხარი მისცა უკიდურესმა კონსერვატორმა პასტორმა შელმა—ყურს ნუ უგდებთ პროგრესიულ და რადიკალურ ქალბატონებს, რომელთაც განუზრახავთ მოსპონ განსხვავება მამაკაცსა და დედაკაცს შორის! მათი დევიზია ყველაფერი გაათანასწორონ და, რომ შეეძლოთ, ხელწერილს ჩამოართმევდნენ ყველა ქალებს—უარი სთქვან დედობაზე და ცოლობაზეო“.

კარგი პასუხი მისცა ამ ძველთა დროთა მოტრფიალე მღვდელს ნაციონალ-ლიბერალმა ჰაკენბერგმა: „თქვენი იდეალი ისე ზნეობრივი არ არის, როგორც თქვენა გგონიათ. ჩემის აზრით, ის ქალები უფრო პატივსაცემნი არიან, რომელნიც არ უყურებენ ქორწინებას როგორც უზრუნველ-ყოფის საშუალებას ან სამალო თავ-შესაფარს. არავინ არ არის წინააღმდეგი, რომ ქალის დანიშნულება დედობაა, მაგრამ არ გქნათ, რომ მილიონი ქალები ვერ ახერხებენ ეს დანიშნულება აასრულონ? როცა ვინმე სცდილობს თავის ფეხზე დადგეს, თავისი თავი თვითონვე გამოიკვებოს, ჩვენ ეს მოგვწონს. რატომ არის ეს მოსაწონი მამაკაცისათვის და არ არის მოსაწონი დედა-კაცისათვის? მე ეს არ მესმის. კრიტიკულ წამებში, ჩვენ ხშირად მივმართავთ დედებს; და რატომ არ უნდა მივცეთ ამ დედებს შეძლება ხელ-მძღვანელი იყოს თავის შვილისა, რატომ უნდა მოვაშოროთ ისინი ცოდნის წყაროს? მერამდენჯერ უნდა ვამტკიცოთ, დიდ-ძალი რიცხვი ქალებისა იძულებულია არსებობისათვის საშუალება იშოვოს. ცეკვითა და ხელ-საქმით ხომ ვერ იშოვნიან ამ საშუალებას?“

✡ ბერნშტაინის ისტორია ჩვენმა მკითხველებმა იციან. მისი ნაწერები და აზრები „დოკტარინი“-ს უარ-ყოფად მიიღეს, პარტიის უკანასკნელ სხდომაზე უარ-ჰყვეს და თვით ავტორი გაჰკიცხეს კიდეც. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ბერნშტაინი, თუ სულ არა, დროებით მაინც მოშორდებოდა პოლიტიკურ ასპარეზს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. იგი განაგრძობდა წერას და თან გამოაცხადა, რომ პრაკტიკულადაც იმუშავებს. იგი ხშირად ღებულობდა მონაწილეობას კრებებში, სადაც მას მეტ წილად აღტაცებით ეგებებოდნენ. ბოლოს პარტიის გამგეობამაც სრული თავისი ნდობა გამოუცხადა ბერნშტაინს—წინადადება მისცეს კენჭი ეყარა დეპუტატობაზე, გარდაცვილილ შენლანკის მაგიერ, და ამოირჩიეს კიდეც, რაც უკვე მოყვანილი გვქონდა ჩვენს გაზეთში.

ეს ფაკტი მეტად საგულისხმოა გერმანიის დემოკრატიის განვითარებისათვის. ისეთი „ევოლიუციონისტი“ და „რეფორმისტი“, როგორიც ბერნშტაინია, სულ მოკლე ხნის წინათ ვერ შეიქნებოდა გერმანელ დემოკრატების წარმომადგენელი. ეს არჩევანი თუ იმას არ ამტკიცებს, რომ ერფურტის პროგრამა სრულებით უარ-ყოფილია, იმას მაინც ამტკიცებს, რომ ამ პროგრამას ძველი მნიშვნელობა აღარ აქვს პარტიისათვის.

ახალი ამბავი

◆ სათანადო მთავრობამ უკვე დაამტკიცა ტფილისის იმ ახალის საზოგადოების წესდება, რომელსაც საგნად აქვს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების **ღარიბ კავკასიელ სტუდენტებს**. საზოგადოების დამფუძნებელ წევრთ კვირას, 17 მარტს, ტფილისის არტისტიულ საზოგადოების დარბაზში მოლაპარაკება ჰქონდათ იმის შესახებ, თუ როდის დაიწყონ მოქმედება და რა საშუალებათ მიჰმართონ დახმარების საქმის რიგიანად დაყენებისათვის. დამფუძნებელ წევრთა სხდომამ პირველად იქონია მსჯელობა, თუ რამდენი დაწესდეს საწევრო გადასახადი. კარგა ხანს მოლაპარაკების შემდეგ, გარდასწყვიტეს საწევრო გადასახადი იქმნეს ყოველ წლივ 3 მან. კრებამ აგრეთვე დაადგინა დაიბეჭდოს წესდებისა 1000 ცალი და 500-მდე დაურიგდეს გასაცნობად სასწავლებლების გამგეთა და სხვა დაწესებულებათ, დაეგზავნოს აგრეთვე დამფუძნებელ წევრებს. ყველა ეს უნდა დამზადდეს ერთის თვის განმავლობაში, რომლის შემდეგაც 27 აპრილისთვის მოხდება საზოგადო კრება წევრთა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების ამოსარჩევად, რათა ამ დროიდან საზოგადოება უკვე შეუდგეს მოქმედებას.

◆ 16 მარტს, საღამოთი, საზოგადო კრება ჰქონდათ **კავკასიის საექიმო საზოგადოების** წევრებს. კრებაზე, სხვათა შორის, განიხილეს განსაკუთრებულის კომისიის მიერ შემუშავებული დებულება კავკასიის ექიმთა მესამე კრების შესახებ. ეს კრება სათანადო მთავრობის ნება-რთვით მოხდება 1905 წლის აპრილში. კრებამ მიიღო შეუცვლელად კომისიის მიერ შემუშავებული დებულება საექიმო მესამე კრებისა კავკასიაში და გარდასწყვიტა შემდეგ საზოგადო კრებაზე ამოირჩიონ განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც დაევალოს მთელი ამ საქმის მოწყობა და დაახლოვებით დროს აღნიშვნა, თუ როდისთვის მოხდეს კრება.

◆ 17 მარტს, ს. გომში, გ. დ. ყურულის თავმჯდომარეობით, მოხდა **გორის მემამულეთა ამხანაგობის** მეორე კრება, რომელზედაც არჩეულნი იქმნენ გამგეობის თავმჯდომარედ გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. გ. ა. ბაგრატიონ-დავიდოვი, დირექტორებად თ. გ. ნ. დიასამიძე, თ. კ. მ. ამირაჯიბი და გამგე-დირექტორად თ. ჯავახიშვილი. დიდი კამათი გამოიწვია დამსწრე წევრთა შორის გამგეობის მიერ წამოყენებულმა კითხვამ: სავალდებულო იყოს თუ არა ამხანაგობის წევრთათვის მთელის მოსავლის გამგეობისათვის ჩაბარებაო. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს მიწადმოქმედების მინისტრს ნება დართოს ამხანაგობას, შეიტანოს თავის წესდებაში ზემოხსენებული ახალი მუხლი—ჰინახულის მოსავლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ. დადგენილ იქმნა აგრეთვე მოახდინონ წევრებმა ერთმანეთ-შორის კერძო ხელშეკრულება, რათა მიმდინარე წელსავე ჩააბარონ გამგეობას მთელი მოსავალი. რაც შეეხება იმას, თუ რა პირობებით უნდა ჩაბარდეს გამგეობას მოსავალი, კრებამ დაავალა გამგეობას შეადგინოს ამ კითხვის შესახებ ცალკე მოხსენება და წარუდგინოს მემამულეთა კრებას, რომელიც 7 აპრილს მოხდება.

◆ 17 მარტს შესდგა საზოგადო კრება ტფილისის **ვაჭართა საზოგადოებისა**; პირველად კრებამ განიხილა და დაამტკიცა წარსულ 1901 წლის საზოგადოების ანგარიში. ვაჭართა საზოგადოებას 1901 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია სულ 189,684 მან. 78 კაპ., ხარჯი კი 167,027 მან 76 კაპ. ასე, რომ შემოსავალი საზოგადოებას დარჩენია 22.626 მან. 22 კ. აქედან უნდა გამოირიცხოს 3424 მანეთი, რომელიც ეკუთვნის ტფილისის საკომერციო სასწავლებელს, და საზოგადოებას წმინდა შემოსავალი ექნება სულ 19,235 მან. ანგარიშის შემდეგ კრებამ განიხილა ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს მოხსენება და გარდასწყვიტა დაბეჭდოს საბჭოს ანგარიში და წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს. რადგანაც ვაჭართა საზოგადოებამ უკვე მიიღო ფინანსთა სიმინისტროსაგან დამტკიცებული წესდება ტფილისში დასაარსებლად განზრახულ სავაჭრო სკოლისა, კრებამ 17 მარტისავე სხდომაზე გარდასწყვიტა აღნიშნულ სკოლის პირველი ორი კლასი გახსნან ამა მიმდინარე წლის სექტემბერში. სკოლის შესანახად გადადებულ იქმნეს ვაჭართა საზოგადო საშუალებიდან 8875 მან. პირველს წელიწადს ხარჯის დასაფარავად საზოგადოებას შემოუვა 6400 მ., ხოლო თავისი საშუალებიდან უნდა დაუმატონ 2500 მან., მაგრამ საზოგადოებას იმედი აქვს, 1903 წლისათვის ზედ-მეტ ნახარჯს გაინაღდებს სკოლის შემოსავლიდან. დასასრულ კრება შეუდგა მოხელე პირების არჩევანს. ვაჭართა მამასახლისად ამორჩეულ იქმნა ისევ ბ. დავიდოვი, ხოლო მამასახლისის ამხანაგებად—ბ. ბ. შადინოვი და აკოფოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ბ. ბ. მილოვი, ახვერდოვი და ტერ-ოსიფიანცი.

◆ ამ დღეებში მთავარ-მართებლის კანცელარიაში მოხდება **გუბერნატორების და ოლქის უფროსების კრება**, რომელნიც განიხილავენ საკითხს გუბერნიების საჭიროებაზე.

◆ **სპარსეთის შაჰმა** შესწირა ხუთი ათასი მანეთი დაზარალებულ შემახელთა სასარგებლოდ.

◆ გზათა სამინისტროს ნება-რთვით, ამიერ-კავკასიის რკინის გზა 13 მარტიდან 31 დეკემბრამდე **უფასოდ გადაზიდავს** ხორბალს, სანოვაგე-სურსათს და სხვა ამგვარს, რომელსაც შემახაში დაზარალებულთათვის შესწირავენ კერძო პირები, სახელმწიფო ან სხვა-და-სხვა საზოგადოებანი.

◆ „კავკაზ“-ს აცნობებენ, რომ ინჟენერ-ქიმიკოს მინასიანცს კავკასიის **საოჯახო მრეწველობის** კომიტეტი ჰგზავნის განჯის, ბა-

---

ფორმა მაშინვე ისეთნაირად გამოცვლილა, რომ დიდად განსხვავებულია წინანდელ ფორმისაგან.

სად არის აქ ან არსებობისათვის ბრძოლა, ან შეუხამებელის გაჰქრობა ან ღონიერის გადარჩენა ან შუა-ფორმები, რომელნიც ძველ გვარს ახალს უნდა აკავშირებდნენ, სად არის ის დიდი დრო, რომელიც საჭირო უნდა იყოს ერთის გვარისაგან მეორეს წარმოშობისათვის, სად არის მთელი დარვინისმი გვართა წარმოშობის ზემოდ მოყვანილ შემთხვევებში. აქ ვერ ვხედავთ ჩამომავალთა შორის ისეთს, რომელიც სულ ცოტათი უნდა განირჩეოდეს წინაპართაგან და ეს ცოტა გარჩევა არ დარჩენია ჩამომავალს იმიტომ, რომ ეს მისთვის სასარგებლო იყო, იმ დრომდე, სანამ ახალი გვარი არ გაჩნდა. არ მომკვდარან უამრავი ინდივიდები, რომელთაც ეს ახალი თვისება არ ჰქონდათ, რომ ადგილი დაეთმოთ იმათთვის, ვისაც იგი აქვს, მოკლედ რომ ვსთქვათ, აქ არ უმოქმედნია თანდათან განსხვავების, არსებობისათვის ბრძოლის და ბუნებრივ შერჩევის მთელ აპარატს, რომელიც ყოველთვის უნდა მოქმედებდეს ახალ გვარის გაჩენის დროს. ერთბაშად გაჩნდა ახალი ფორმა უთანდათანოთა და ბუნებრივ შერჩევის დაუხმარებლად.

ცხადია, ახალ გვარების გაჩენის მოყვანილი შემთხვევები სრულებით არ ხსნიან თვით ამ გაჩენას. ჯერ კიდევ ამოცანაა, თუ რატომ გაჩნდნენ ერთბაშად ახალი ფორმები, ახალი გვარები. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ამგვარი შემთხვევები გავრცელებულია ბუნებაში. „რატომ“ და „როგორ“ ჯერ ბიოლოგებისთვის ცხადი არ არის. და დარვინის ახსნა კი მისაღებია? ბუნებრივ შერჩევას ხომ არ შეუძლია ახალ ფორმების წარმოშობა, მას შეუძლია მხოლოდ მოსპოს ან შეინახოს ის, რაც არსებობს, და სხვა არაფერი.

რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ხანდახან ერთის წყვილის ჩამომავალთა შორის იყოს ისეთი, რომლისთვისაც მისი პატარა ახალი თვისება სასარგებლო იქნეს. რამდენიმე წლის წინად ველდონმა მოიყვანა ერთი ამისთანა შემთხვევა, თუმცა იგი ხელოვნურ პირობებში მოხდა.

თიხის მტვრიან წყალში ვიწრო შუბლიანი კიბო კარგად სძლებს და განიერ შუბლიანი კი იღუპება. მიზეზი ამ მოვლენისა ის არის, რომ ვიწრო შუბლიან კიბოს უფრო წმინდა ლაყუჩი აქვს და ამიტომ მტვერი ვერ შედის ამ სასუნთქავ ორგანოში, განიერ შუბლიანს კი შეუდის მტვერი და იხრჩვება. ამგვარი პირობები ბუნებაშიაც გვხვდება და ამიტომ ველდონის ექსპერიმენტი ბუნებაშიაც შესაძლებელია. მაგრამ ამ მაგალითით ხომ იმის თქმა შეუძლებელია, რომ ვიწრო შუბლიანი კიბო თანდათან გაჩნდა; აქ იმ თავითვე ვიწრო შუბლიანიც არის და განიერ შუბლიანიც, მხოლოდ ბუნებრივი შერჩევა ჰკლავს განიერ შუბლიანს. თუ მოყვანილი შემთხვევა არ ამტკიცებს ახალ ფორმის თანდათან წარმოშობას, იგი მაინც იმას გვიჩვენებს, რომ ბუნებრივ შერჩევას შესამჩნევი მნიშვნელობა აქვს. კორშინსკის ნამეტანი მოუვიდა, როცა იგი ამტკიცებდა, რომ არსებობისთვის ბრძოლას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ახალ ფორმების განვითარებისათვის, მაგრამ რაც უნდა იყოს ამ ფაქტორის მნიშვნელობა წარმოუდგენლად გაზვიადებულია. ფვით განთქმული მაგალითი ჟირაფას გრძელ კისრისა უფრო ლამარკის სასარგებლოდ ლაპარაკობს, ვიდრე დარვინის. პირველად დარვინის აზრი გენიოსური გვგონია: რაც უფრო გრძელი კისერი ჰქონდა ჟირაფას, მით უფრო შეეძლო გამოეკვება თავი მაღალ ხეების წვერებით; ყოველთვის ის ეკზემპლიარები გადარჩებოდნენ, რომელნიც საკვების სიმცირის დროს თავიანთ გრძელ კისრებით უფრო მაღალ ტოტებს მისწვდებოდნენ. აი საუკეთესო მაგალითი თან-და-თანისა და ბუნებრივ შერჩევისაგან გამოწვეულის განვითარებისა, მაგრამ მოვლენას რომ ჩაუკვირდეთ, ეს ახსნა ასე თვალსაჩინო აღარ მოგვეჩვენება. მართლაც, საკვების სიმცირე ერთად ხომ არ დადგებოდა იმ ადგილებში, სადაც ჟირაფა სცხოვრობს, ხომ იყო და არის ისეთი ადგილებიც, სადაც საკვები ყოველთვის საკმაო არის. მაშასადამე, იყო ისეთი ადგილები, სადაც ჟირაფა აღარ ექვემდებარებოდა არსებობისათვის ბრძოლის ნაჩვენებ კანონს. და თუ ამ ადგილების ჟირაფები შეერეოდნენ უფრო გრძელ კისრიანებს, მიღებული განსაკუთრებული თვისება უნდა გამქრალიყო ისევ, რადგან იგი საჭირო აღარ იყო ამათთვის. საზოგადოთ ძნელი დასასაბუთებელია ის აზრი, ვითომც ჟირაფების ბედ-იღბალი დამოკიდებული იყო იმ რამდენიმე ეკზემპლიარისაგან, რომელთაც ერთი გოჯა მეტი კისერი ჰქონდათ.

ლამარკის აზრი ასე გენიოსური არ არის, მაგრამ მასში ერთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც ათასჯერ ამტკიცებს ბუნება და რომელსაც უფრო-და-უფრო ხშირად უბრუნდებიან. ლამარკი ამბობს: ჟირაფას კისერი იმიტომ არის ასეთი გრძელი, რომ მას მუდამ გაწვდილი ჰქონდა სხეულის ეს ნაწილი მაღალ ხეების ტოტებისაკენ; აი ამ მუდმივ ვარჯიშობის მიზეზით გაგრძელდა ჟირაფას კისერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს, ერევნისა და ქუთაისის გუბერნიებში და დაღესტნის ოლქში, რათა ყოველის მხრით გაიცნოს საოჯახო მრეწველობის საქმის მოწყობა ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში.

◆ კავკასიის სამხედრო სასამართლოს მოსამართლე გენ.-მაიორი **ივანენკო** დაინიშნა მოსკოვის სამხედრო სასამართლოს მოსამართლედ („პრავ. ვესტ.").

◆ ოსმალეთიდან გამოქცეულ სომეხთა ცხრამეტმა ოჯახობამ, რომლებიც ქალაქის განათების საქმეს ემსახურებოდნენ, თხოვნა მიართვეს ქალაქის გამგეობას, რომ დახმარება აღმოუჩინონ მათ, რათა **ოსმალეთშივე დაბრუნდნენ**, რადგანაც, მთავრობის განკარგულებით, იმათ აქ ცხოვრების ნება არა აქვთ.

◆ დღეს, 19 მარტს, შესრულდა ათი წელიწადი, რაც ამიერ კავკასიაში დაწესდა **გადასახადთა ინსპექტორების ინსტიტუტი**. ინსტიტუტი შემოიღეს 1892 წელს, 19 მარტს. ამის გამო ტფილისში თავი მოუყრიათ ზოგიერთ ინსპექტორებს ტფილისის გუბერნიისას და ამ დღის სახსოვრად სურთ ამხანაგურ უბრალო ნადიმში დრო გაატარონ.

◆ გუშინ ტფილისის საგუბერნიო სამმართველო შეეკითხა ქალაქის გამგეობას,—შეგვატყობინეთ, იქნება თუ არა გამგეობა იმის წინააღმდეგი, რომ მე-10 საპოლიციო უბანში, მიხეილის ქუჩაზე, ექიმ კარაპეტიანცის მიწაზე ააშენონ ხის **საზაფხულო თეატრიო**.

◆ ჩუღურეთისა და ნაძალადევის **საკვირაო სკოლების გამგენი** მ. ვ. მაჩაბელი და თ. დ. ჩიჯავაძე გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „უღრმესს მადლობას ვუცხადებთ დიდად პატივცემულთ ყოვლად სამღვდელო კირიონსა და ი. ს. გოგებაშვილს, რომელთაც ბევრი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი შემოგვწირეს ხსენებულ სკოლებისათვის".

◆ ზოგიერთ ხმოსნების თაოსნობით ამომრჩეველთა პირველ უბანში მოხდება ამომრჩეველთა კერძო კრება, რომ **მოილაპარაკონ და შეთანხმდნენ** ხმოსნებისა და მათის კანდიდატების ამორჩევის შესახებ.

◆ შაბათს ღარიბ შეგირდთა დამხმარებელ კომიტეტის სხდომა იყო პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. კომიტეტმა დაადგინა თავის ფულიდან გადასდოს 600 მან. **ღარიბ შეგირდთა** დასახმარებლად, რომ მათ შეიძლონ, სწავლის ფასი გადაიხადონ და აგრეთვე ტანისამოსი და ფეხსაცმელი შეიძინონ.

◆ 20 მარტს ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების** კრება, რომელიც გადაშინჯავს მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას.

◆ ქალაქის გამგეობამ გაგზავნა საქალაქო სამეურნეო პოლიციის უფროსი ზედამხედველი ალიხანოვი, რომ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში, სადაც კი კარგი საქონელი იშოვება, **იყიდოს საქონელი** ქალაქის საყასბოსათვის, რომ ამით შეღავათი მიეცეთ მცხოვრებლებს ხორცის სიძვირის გამო.

◆ ქალაქის გამგეობამ მიმართა თამამშევის ქარვასლის პატრონებს, რომ თავიანთ ქარვასლაში, ქვემო სართულში, მიაქირავონ იმას სადგომი ქალაქის **ხორცის დუქნისთვის**. ქარვასლის პატრონებმა ამ სადგომის ქირად ითხოვეს 1500 მან. წელიწადში.

◆ რადგანაც საქონლის ჭირი ყველგან მოდებულია, ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა სასტიკი განკარგულება მოახდინა, თვალ-ყური ადევნონ, რომ სადმე ქალაქის კუთხეებში საქონელს ჩუმად **არა ხოცავდნენ** და არ ასაღებდნენ მცხოვრებლებზე. განსაკუთრებული ყურადღება ავლაბარს და ნავთლუღს უნდა მიექცეს.

◆ კვირას, 17 მარტს, „მეღროგეთა" მამასახლისის **არჩევანები იყო**. ხმის უმეტესობით, მამასახლისად ამოირჩიეს ნაზარ ოგანეზოვი, ხოლო იმის თანაშემწედ—ბალაშევი.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ყარსის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი **ზამოილოვი**.

◆ მივიღეთ ახალი **ქართული წიგნი**— „სალიტერატურო ქართული", გამოკვლევა სილოვან ხუნდაძისა. წიგნი შეიცავს 239 გვერდს და ღირს ერთ მანეთად.

◆ გამოვიდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს „მოამბის" მეორე №-ი შემდეგის შინაარსისა: 1) ევა, რომანი ჯიოვანნა ვერგასი, თარგმანი ალ. დ. წინამძღვრიშვილისა, (დასასრული); 2) ლადიკო—მოთხრობა მელანიასი; 3) დაძირული ზარი.—დრამა ხუთ მოქმედებად, გერგატ ჰაუპტმანისა, თარგმანი ინ-ანისა; 4) არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი.—ე. თაყაიშვილისა; 5) ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვა მისი.—მისივე; 6) თეატრი და მწერლობა; 7) უცხოეთის მიმოხილვა; 8) დამატება— საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.— ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა.

◆ სასტუმრო „გრანდ-ოტელ"ში მცხოვრებმა კოლ. სოვეტ. ზელინსკიმ პოლიციას განუცხადა, რომ მისი ნომრიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს 300 მან; ქურდობაში ეჭვი განაცხადეს სასტუმროს ერთს მსახურზე.

◆ 15 მარტს ტფ. მოქალაქეთ ალ. აპიანცმა და რუბენ აივაზოვმა ტფ. მცხოვრებს თათეოს კალუსტიანცს ჯიბიდან ფულები ამოაცალეს. დამნაშავენი პოლიციამ შეიპყრო.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ 16 მარტს დილის $9^1/2$ საათზე №-24 მატარებელს მეხუთე ვერსზე საბუნჩის გზისა გაუჭყლეტია გადასასვლელი გზის დარაჯი სპარსელი დადაშ-ალი-ოღლი.

◆ სადგურ სადახლოდან იტყობინებიან, რომ 16 მარტს, დილის 8 საათზე, სამგზავრო ბაქანზე ხანჯლით დასჭრა მამედ-ისა-ოღლიმ ხალიმ-მამედ-ოღლი, ჩხუბი ფულის ანგარიშის გამო მოუვიდათ.

◆ წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდელმა სოლ. შოშიაშვილმა შაბათს, 16 მარტს, პოლიციაში განაცხადა, რომ ამ დღეს, საღამოს 6 საათზე, ეკკლესიიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მოიპარა ვერცხლის ბარძიმი. ამავე დღეს ავლაბარში პოლიციამ შეიპყრო ერთი კაცი, რომელსაც მიჰქონდა თურმე სადღაც მოპარული ვერცხლის ბარძიმი; ეს ყოფილა ალექსანდროპოლის მცხოვრები ვაგან ბებუროვი; მან განაცხადა, რომ ბარძიმი ხოჯივანქის სასაფლაოზე ვნახე და არ ვიცი, ვის დაუგდიაო. ბებუროვი პოლიციამ დააპატიმრა.

◆ 22 თებერვალს, პოლიციის მე-6 ნაწილში, საღამოს 6 საათზე, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი თავს დასცემიან ბორჩალოს მაზრის მცხოვრებს ზაქარია კოჩიაშვილს და გაუცარცვავთ. კარგა ხანს ძებნის შემდეგ, 16 მარტს პოლიციამ მიიგნო მცარცველები და დააპატიმრა მეტეხის ციხეში. ბოროტმოქმედი აღმოჩენილა ტფილისის მოქალაქე ივანე ბასტიანოვი. გამოძიება სწარმოებს.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილში, 17 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, რაღაც მიზეზისა გამო ჩხუბი მოუვიდა შორაპნის მაზრის მცხოვრებს ასლან სამხარაძეს ტფ. მოქალაქე კუჩაიძესთან, რომელიც სამხარაძემ ხანჯლით დასჭრა ხელში. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს; დამნაშავე პოლიციამ დააპატიმრა.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ ჩვენ ამას წინად ვსწერდით, რომ ქუთაისის საზოგადოება იმის ცდაშია, ჩვენ ავად-მყოფ მგოსანს გრ. აბაშიძეს საშუალება მოუპოვონ და საავადმყოფოში მიაბარონ. ამ თვის 13 რიცხვს გრ. აბაშიძე გაისტუმრეს კიდეცა პეტერბურგს, სადაც ავადმყოფი იქ არსებულ მწერალთა—თავშესაფარში იქნება მოთავსებული. როგორც გვითხრეს, ავად-მყოფის მზრუნველობა იმის მოგზაურობის დროს იკისრა ბ-ნმა კარპე მოდებაძემ.

∽ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური მორიგი კრება ამ თვის 31 რიცხვსაა დანიშნული. მორიგ საქმეთა შორის კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების მმართველობის მოხელეთათვის ფულის დარიგება და უნდა აირჩიოს მმართველობის დირექტორი, ორი დეპუტატი, სარევიზიო კომისიის წევრნი და მათი კანდიდატები; ყველა ამათ, წესდების ძალით, ამ წელს სამსახური გაუთავდათ.

∽ უბედურის შემთხვევით მოკლული მოსწავლე ქუთაისის სემინარიისა გაბისონა, 15 მარტს დიდის ამბით გაასვენეს ქუთაისიდან. სემინარიის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი თავის კრებულით, სემინარიის რექტორი, ინსპექტორი და მრავალი სამღვდელოება. ამხანაგებმა მიცვალებულის კუბო მშვენიერის გვირგვინით შეამკეს. სემინარიის მოსწავლეთა გარდა, დიდი ხალხი მიჰყვებოდა უდროვოდ მიცვალებულის გვამს. წირვის შემდეგ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს: სემინარიის რექტორმა არხიმანდრიტმა ბენიამინემ და სემინარიის ორმა მოსწავლემ რუსულს ენაზე. რკინის გზის სადგურზე კი ერთმა იმათგანმა, აბაშიძემ, ქართულს ენაზე კარგა მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა.

მიცვალებული სამეგრელოში, დაბა ზუგდიდს, წაასვენეს სამშობლო ადგილს მიწის მისაბარებლად.

როგორც გვითხრეს, სემინარიის მამა რექტორი შემთხვევით მკვლელს კინწირეიშვილს თავიდან არ იცილებს და ფრიად თვალ-ყურს ადევნებს. თურმე იმდენად შეწუხებულია კინწ—ლი, ეშინიათ თავისს თავს არა უყოს-რა ცუდიო. ამბობენ, ამ ყმაწვილს სემინარიიდან არ დაითხოვენო.

∽ 12 მარტს საოლქო სასამართლომ, სხვათა შორის, ორი საქმე გაარჩია, ორივე შორაპნის მაზრის, სოფ. ტაბაკელის მცხოვრებთა.

სანდრო კელენჯერიძეს ის ბრალი ედებოდა, რომ თავის ბიძაშვილს—ქალს ძალ-დატანებით ნამუსი აჰხადა. როცა ქალი ფეხ-მძიმედ შეიქნა, ნამუს-ამხდელს ურის გდება და შემწეობა სთხოვა, რის გამოც მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა და კელენჯერიძემ ქალს რევოლვერი ესროლა და ხელში დასჭრა.

სასამართლომ დამნაშავეს ღირსება აჰხადა და სამის წლით პატიმართა რაზმში ყოფნა მიუსაჯა.

მეორე საქმე: 28 ენკენისთვეს 1901 წ. სოფ. ტაბაკელას მცხოვრებელი პავლე მშვენიერაძე ეკკლესიის დარაჯად იყო ღამე. ამავე სოფლის მცხოვრებელი ერმილე აბჟანდაძე თავს დაეცემია მშვ—ძეს და წაურთმევია: ახალუხი, ჩექმები, ქამარ-ხანჯალი, რევოლვერი და ფულად 33 მანეთი. მშვ—ძის დებსაც მოკვლას თურმე ემუქრებოდა.

ორი დღე მოუნდა სასამართლო ამ საქმის გარჩევას. ერმილე აბჟანდაძე დამნაშავედ იცნო სასამართლომ ზემო აღნიშნულ დანაშაულობაში და ყოველივე ღირსების ჩამორთმევით 8 წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა.

პრესსა

მოსკოვის გაზეთებში ვკითხულობთ:

> „ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარემ ამას წინად მიჰმართა მოსკოვის სამოსამართლო ოლქს წინადადებით, თუ არის ვინმე მსურველი ამიერ-კავკასიაში სამსახურისა. წამოვიდეს, რადგან თავისუფალია 50 ადგილი გამომძიებელთაო. მაგრამ მოსკოვში მხოლოდ სამი იურისტი აღმოჩნდა, რომელთაც მოისურვეს ამიერ-კავკასიაში წასვლა.

ამ ფაქტს, ცოტა არ იყოს, გაუკვირვებია რუსული გაზეთები. „ბირჟ. ვედომ."-ი საყვედურს უცხადებენ მოსკოვის იურისტებს, რომელთაც „სასცენო კარიერის მოლოდინში" არა ჰსურთ მოსკოვს მოშორდნენო და სულ თეატრებში არიანო. წერილის ავტორი, ელიშევი, ბოლოს იმასაც ამბობს, ალბათ, კავკასიაში სამსახურის პირობანი ძნელი უნდა იყვნენო და იმიტომ თუ უფრთხიან განათლებული იურისტები იქ წასვლასაო. შესაძლებელიაო, განაგრძობს ავტორი,

> ამიერ-კავკასიაში და, საზოგადოთ, განაპირა ქვეყნებში გამომძიებელთ ცოტა ჯამაგირი აქვთ და მომატება უნდა; შესაძლებელია, სხვა პირობები იყოს ძნელი და შემსუბუქება უნდა; ისიც შესაძლებელია, რომ იქ სრულიად არ შეგვიძლია ჯერ-ჯერობით განათლებული იურისტები ვიყოლიოთ სამსახურში და ადგილები ნაკლების ცენზის მქონებელთ მივსცეთ და სხვა.

ყოველივე ეს შესაძლებელია, მაგრამ უფრო საჭიროა ჯერ დაწვრილებით გამოირკვას მიზეზი იმ სამწუხარო გარემოებისა, რომელიც აკვირვებს გაზეთებს. თვით ბ. ელიშევი ამბობს, რომ „ადგილობრივ პირობათა შეუსწავლელად, ძნელია ესა თუ ის ღონისძიება აღენიშნოთო". იქნება „ადგილობრივ

ეს ხომ მეტად ბანალური ახსნააო, იტყვიან, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით მაგ., რომ მუსკულები მუდმივ მოძრაობის გავლენით საკვირველად ვითარდებიან, რომ კბილი, რომელსაც არ ხმარობენ, ხდება, რომ ერთის სიტყვით რომელიმე ორგანოს მოხმარებას ან არ-მოხმარებას შეუძლია გამოიწვიოს ფორმის უდიდესი ცვლილებანი და ცვლილება თავს იჩენს არა დიდძალ თაობათა განვლის შემდეგ, არამედ შედარებით ჩქარა—ერთეულ ინდივიდუუმებზე. ამ პრინციპმა—მოხმარება და არ მოხმარებაა—რომელსაც ლამარკმა მიაწერა უმთავრესი მნიშვნელობა ახალ ფორმების წარმოშობის საქმეში, შესაძლებელია აგვიხსნას თვით ამ წარმოშობის მექანიზმიც. ლამარკმა მიიღო, როგორც ფაქტი, განვითარებისადმი მიდრეკილების არსებობა და ამით ხსნიდა ახალ ფორმების წარმოშობას. დარვინმა უარ-ჰყო ეს „არა მეცნიერული" აზრი და მოინდომა განვითარების მექანიკურად ახსნა; ეს არის ქებული დიდი დამსახურება დარვინისა. მაგრამ ეს მან ვერ შესძლო, მისგან წამოყენებული პრინციპები ზოგი ყალბია და ზოგიც სრულებით არა კმარა მოვლენის ახსნისათვის. ეხლა ეს თან-და-თან ცხადი ხდება და ამიტომაც არის, რომ ლამარკს დაუბრუნდნენ. და თუ ლამარკის „განვითარებისადმი მიდრეკილების" მაგიერ ბუნებრივი მექანიზმი იქნა მიღებული, ახალის პრინციპის დამყარება უფრო ლამარკზე შეიძლება, ვიდრე დარვინზე.

ამავე ბუნებრივ შერჩევის კატეგორიას ეკუთვნის დარვინის შეხედულება ფერის წრესთან შეხამებაზე. დარვინის აზრით, მაგ. კურდღლებს თავდა-პირველად ჰქონდათ ყვითელი ან ცის ფერი ან ჭრელი ან სხვ. ფერი, მაგრამ რადგან არსებობისათვის ბრძოლაში იმათ გაიმარჯვეს, რომელთაც ცოტა მაინც ჰქონდათ მიწის ფერი ბალანი, ამიტომ ეხლა ის კურდღლები-ღა დარჩნენ, რომელთაც რუხვი ფერი აქვთ. ჯერ ის არის ძნელი გასაგები, თუ როგორ გადურჩა მტერს სხვაზე უფრო ის კურდღელი, რომელსაც ორი ღერი ბალანი რუხვი ჰქონდა. ასეთი მცირე განსხვავება კურდღელს დიდ სარგებლობას ვერ მოუტანდა და ამიტომ არც დარჩებოდა ეს განსხვავება ჩამომავლობაში. ამიტომ ის უნდა ვიფიქროთ, რომ კურდღელი იმ თავითვე რუხვი იყო და ეს სირუხვე მიწისებურ ფერს დაუახლოვდა. ეს საფიქრებელია, მაგრამ განა ამით გამორკვეულია, რატომ გამხდარან იმდენი ფოთლის ჭიები მწვანე, ამდენ მიწის ცხოველები მობნელო და სხვა? თუ იმას მივიღებთ, რომ უმრავლესობას იმ თავითვე თავის წრის ფერი ჰქონდათ, ეს პრობლემის ახსნა კი არა, სხვა ადგილას გადატანა იქნება. ცხადია, აქ დარვინისტიურ შეხამებას კი არ ჰქონია ადგილი, არამედ სხვა გვარ შეხამებას—ინდივინდუუმის შეხამებას წრესთან. განა წარმოსადგენი არ არის, რომ ცხოველები თმის კანის პიგმენტის უჯრედებში იღებენ იმ ფერის ნივთიერებას, რომელსაც თავიანთ წრეში ჰპოულობენ? ხომ შეუძლია მაგ. ჭიას, რომელიც ფერად ყვავილებით იკვებება, ამ ყვავილების ფერის ნივთიერება თავის ეპიდერმისის (ზედა-კანი) საპიგმენტო უჯრედებში შეუშვას. მეტად მარტივი იქნებოდა ფერების შეხამების ეს ჰიპოტეზა, მაგრამ მას საბუთი აქვს. სიცივე და სიბნელე ხელს უშლის კანის ზედა-უჯრედებში პიგმენტის გაჩენას, ამიტომაც არქტიული და ბნელ წრის ცხოველები მეტწილად უფერულნი არიან. ცხოველები კი არ შეხამებულან წრესთან, წრემ შეიხამა ცხოველები.

ფორმის ასეთი შექმნა, რომელსაც მექანიურათ სჩადის წრე, უნდა იყოს ამოცანის ნამდვილი ახსნა. ორგანიზმისა და წრის დამოკიდებულება ისეთია, როგორც კვალისა და ადამიანის ფეხისა, რომელმაც ეს კვალი დააჩნია მტვერს. ვის უკვირს, რომ კვალი ფეხს ეხამება! ფილოსოფოსები კი ამ მოვლენის შესახებ უნდა ამბობდნენ: განვითარებისადმი მიდრეკილებამ ისეთი ფორმა მისცა მტვერს, რომ იგი თავის წრეს (ამ შემთხვევაში ადამიანის ფეხს) შეეხამება. დარვინმა უნდა სთქვას: მტვრის ყველა არსებულ ფორმებიდან იმისთანები გადარჩნენ, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ადამიანის ფეხს მიემზგავსებოდნენ, ამათგან კი ისეთები, რომელნიც კიდევ უფრო ჰგავანდნენ ამ ფეხს. ასე რთული და გაუგებარი იქნებოდა ამათი ახსნა; ნამდვილად კი კვალი იმიტომ შეეხამება ადამიანის ფეხს, რომ ის კვალი ამ ფეხის გაკეთებულია. დიახ, ცოცხალი არსებანი იმიტომ შეეხამებიან წრეს, რომ ამ წრემ შეიხამა ისინი.

ეს წერილი იმიტომ გადმოვიღეთ გერმანულიდან, რომ გვინდოდა ქართველი ბუნების მეტყველნი გამოგვეწვია, ელაპარაკნათ მათ მეცნიერების ეხლანდელ მდგომარეობაზე. დარვინისა და დარვინისმის ასეთი მოპყრობა გროტევიცის მხრივ, ვფიქრობთ, ჩვენებსაც გააწიწმატებს და დადუმებულ ხმას ამოაღებინებს.

საკვირველია ჩვენი ცხოვრება—იურისტი ფილოლოგობს, ექიმი კრიტიკოსობს, ფილოლოგი ბუნების მეტყველების შესახებ წერილებს სთარგმნის და არც ერთს ის მარტივი აზრი არ მოდის თავში, რომ საზოგადოებას იმ სფერის კითხვები გააცნოს, სადაც მას მეტი ცოდნისა და უნარის გამოჩენა შეუძლია.

პირობათა“ გამოკვლევამ უფრო ცხადათ დაგვანახოს, თუ რა მიზეზია, რომ ჩვენს ქვეყანაში იურისტები ვერ უშოვნიათ სამსახურისათვის. . .

დაბა-სოფლები

ერწო (თიანეთის მაზრა): ერწოელ ხალხს ჯერ კიდევ 1899 წელს დაუდგენია განაჩენი, რომლის ძალითაც თითო მათგანი თითო მანეთს გადიხდის წელიწადში, თუ ექიმს და წამლებს ედირსა. ეს განაჩენი დღევანდლამდე უყურადღებოდ არის დატოვებული. რის გამოც ბევრი, მცირე ავადმყოფობის გამო, წუთი-სოფელს ესალმება. ვერც ექიმი მოუწვევიათ თიანეთიდან, რადგანაც ექიმის მოწვევა ხუთი მანეთის ნაკლებად არ დაუჯდებათ, რის გადება, უამისოდაც ღარიბ გლეხს მეტად გაუჭირდება. ს. ახმეტაში, მართალია, არის აფთიაქი და ექიმიც, მაგრამ იმ სიშორე ადგილიდამ როგორ და რითი მოიწვიონ?!

კარგი იქნება, სოფელი გაიხსენებდეს თავის განაჩენს და მთავრობის დახმარებით მოაწყობდეს რიგიანად საექიმო დახმარების საქმეს.

ნადოკრა (თიანეთის მაზრა): არ იქნა, არ მოშორდა ამ სოფელს წითელა, რომელიც დროგამოშვებით წუთი-სოფელს ასალმებს ბალღებს. ამ მოკლე ხანში ოთხი გარდაიცვალა აღნიშნულ სოფელში წითელასაგან და სხვა ღმერთმა უწყის. მიდლი არის ამასთანა გაჭირვების დროს შეეწიონ ხალხს.

სოფ. კარდანახი (სიღ. მაზრა): 10 მარტს, სწორეთ იმ დღეს, როდესაც ტფილისი დღესასწაულობდა ცნობილის მსახიობის ვას. ა. აბაშიძის 25 წლის მოღვაწეობას ქართულ სცენაზე, იმავე აბაშიძის პატივ-საცემლად გამართულ იქმნა კარდანახში ადგილობრივი სცენის მოყვარეთაგან ქართული წარმოდგენა კარდანახისვე სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იყო: „დათვი“, „რაც არ მერგება, არ შემერგება“ და „ჭკუისა მჭირს“. წარმოდგენის დაწყებამდის აიხადა ფარდა და სცენიდან დამსწრე საზოგადოებას ბ. შოშიაშვილმა გააცნო ვ. ა. აბაშიძე, თუ რა დვაწლი მიუძღვის მას ქართულ სცენისადმი და სხვა. სცენის მოყვარეთ როლები კარგად იცოდნენ და პირნათლადაც შეასრულეს.

თეატრის დარბაზი მთლათ სავსე იყო მაყურებლებით. წარმოდგენის შემდეგ ადგილობრივ სამინისტრო სკოლაში გაიმართა სცეკვაო სადამო, რომელმაც გათენებამდის გასტანა.

ცეცხლისაგან დამზღვევ სურთიერთო საზოგადების კრება

17 მარტს, დილის 11 საათზე, ტფილისის საბჭოს დარბაზში შესდგა საზოგადო კრება ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვევ ტფ. საზოგადოების წევრთა. 1020 წევრიდან კრებას დაესწრო 70 კაცი. კრებას განსახილველად წარედგინა საზოგადოების 1901 წლის მოქმედების ანგარიში. როგორც ანგარიშიდან სჩანს, საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებაში დაზღვეული ყოფილა 1048 მამული, სულ 17,135,675 მან., საანგარიშო წელში დაუზღვევიათ ახლად 132 მამული 1,162,300 მან. და დამატებითი დასაზღვევით მიუღიათ 86 მამული 879,400 მანეთისა, სულ 2,041, 740 მან. ამავე წელში გასულა საზოგადოების დაზღვევისაგან 28 მამული 300,200 მან., აგრეთვე დაუკლიათ დასაზღვევ ფულებზე სხვა-და-სხვა პირებისათვის 31,200 მან. სულ 331,400 მან. ასე რომ ამა 1902 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებაში დაზღვეული ყოფილა 1152 მამული სულ 18,846,015 მან. ნორმალურ პრემიისათვის დაუკლიათ 5%, 10%, 15%, 20% და 25% სულ ამნაირად დაკლებული ფული უდრის 11125 მან. 75 კაპ. ამას გარდა საანგარიშო წელს დასაზღვევად არ მიუღიათ 10 მამული, რადგანაც ძალიან ძველი შენობები ყოფილან.

საანგარიშო წლის განმავლობაში ცეცხლისაგან, წინა წლებთან შედარებით, ნაკლები ზარალი მოსვლიათ. ცეცხლი გასჩენია 25 მამულს, რომელთა ზარალის ასაზღვევად საზოგადოებას მიუცია სულ 6087 მან., აქედან ერთს, უფრო დაზარალებულს მამულის პატრონს, 3900 მან. და დანარჩენებს ცოტ-ცოტა, რადგანაც ზარალიც უმნიშვნელო მოსვლიათ.

1901 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას სათადარიგო თანხა ჰქონია 113,241 მან. 10 კაპ., საანგარიშო წლის განმავლობაში წმინდა მოგება მიუღიათ სულ 21,547 მან. 91 კაპ.; ასე რომ ამ ჟამად სათადარიგო თანხაში საზოგადოებას აქვს 134,789 მან. რამდენიმე უმნიშვნელო შენიშვნების შემდეგ, კრებამ შეუცვლელად დაამტკიცა გამგეობის 1901 წლის ანგარიში. შემდეგ კრება შეუდგა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას, რომლითაც გამგეობის ორს დირექტორს დასჭირდება ჯამაგირად 2500 მან., ბუხჰალტერს—1200 მან., არქიტექტორს—1000 მან. და სხვა-და-სხვა წვრიმალი სულ 7696 მან. 89 კაპ. საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის წინადადებით, კრებამ 350 მან. მოუმატა წელიწადში ჯამაგირზე თითო დირექტორს, ასე რომ სულ ხარჯი ქნება 8396 მან. 89 კაპ.

ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ კრებამ განიხილა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ იმ მემამულეებს, რომელთაც საზოგადოებაში 13 წელიწადი განუწყვეტლივ დაზღვეული ჰქონიათ მამულები. დასაზღვევ პრემიაზე 30% გარდასახადი დააკლდეთ, რადგანაც საზოგადოების მიზანიც ეს არის, რომ რაც შეიძლება ნაკლებ და ბოლოს სულ უფასოდაც შეეძლოთ საზოგადოებაში მამულების დაზღვევა, ვინც დიდის ხნობით დააზღვევებს პამულს საზოგადოების კასაში. ცოტა ხნის კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ სულ ეს გარდასახადი ყოველ წლიურად 2000 მანეთზე მეტს არ შეადგენს და ამიტომ შესაძლებლად დაინახა კრებამ გამგეობის მოხსენების მიღება.

დასასრულ მოხდა საზოგადოების მოხელე პირების არჩევნები, რომლის შედეგი უკვე გვქონდა დაბეჭდილი გუშინდელს ნომერში.

უცხოეთის წვრილი ამბები

საშინელმა შემთხვევამ მიიპყრო ამჟამად ამერიკელ მეცნიერთა და ბავშვების აღმზრდელთა ყურადღება. საქმე შეეხება ერთ კაცს, რომელიც, როგორც ჭკუაგონებით, ისე ზნეობით და ფიზიკურად სრულიად განუვითარებელია, რომელსაც თავის სიცოცხლეში არ უნახავს არც ადამიანის სახე, არც პირუტყვებისა და ცაც არ დაუნახავს.

ეს არის ოცდა სამის წლის კაცი, იაკობ დეიტრიხის შვილი მისსურიდან, რომელიც ბავშვობიდან ამოქოლილ ოთხ ქვის კედელ შუა სცხოვრობდა და მხოლოდ ეხლახან შეიტყო ეს ხალხმა და განათავისუფლა იგი ამ საზარელი საპყრობილიდან.

იაკობ დეიტრიხი, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში სოფლისგან განმარტოვებულ სადგომში, ხეებისგან დაბურვილ ალაგს სცხოვრობდა განდეგილად, ეხლახან გარდაიცვალა. რადგანაც იმას არც მეგობრები ჰყვანდა, არც ნაცნობები და თითონაც თითქმის არასოდეს არა შორდებოდა თავის სახლს, ამიტომ ხალხმა იმაზე არა იცოდა-რა. ის მოვიდა გერმანიიდან, შეირთო ახალგაზდა ამერიკელი ქალი და, როგორც ფერმერი, დასახლდა სან-ჟოზეფში. რამდენიმე ხნის შემდეგ გერმანიიდან ცოლი მოუვიდა, როგორც ამბობენ, პირველი ცოლი იმისი, რომელიც გერმანიაში ჰყვანდა შერთული და შემდეგ მიატოვა. პირველი ცოლის მოსვლის გამო ძალიან აირივ-დაირივნენ, მაგრამ ორივე ცოლები სახლში დარჩნენ.

ოცდა სამი წლის წინად დეიტრიხის სახლში დაიბადა ვაჟი; ერთი ახლო-მახლო მცხოვრები მოხუცი დედაკაცი ამტკიცებს, რომ თითონ იმან ნახა ბავშვი. ამერიკელი ქალი და გერმანელიც, ბავშვის დედა, მალე დაიხოცნენ. დარჩა მარტო კაცი. ვისაც წინად გაეგოთ რამე ბავშვზე, ის ყველას დიდი-ხნის მკვდარი ეგონათ.

როდესაც დეიტრიხს ასაფლავებდნენ და რამდენიმე იმის მეზობელი შევიდა იმის სახლში, შემთხვევით რალაც უცნაური ხმა შემოესმათ დეიტრიხის ოთახიდან, როგორც ძაღლის წკმუტუნი. შევიდნენ ოთახში და დაინახეს, კედელზე დიდი გასაღები ჰკიდია, ამასთანავე შენიშნეს კედელში სქელი მუხის კარები, რომელიც იმ გასაღებით გააღეს. ის უბედური ქმნილება, რომელიც ამ საზარელ ოთხ-კედელ შუა ნახეს, სიკვდილის პირათ იყო, რადგანაც, ეტყობა, დეიტრიხის ავადმყოფობის დროს იმისთვის საჭმელი არ მიუციათ.

იმას გრძელი დახვლანჯული თმები ჰქონდა, წვერი, რომელიც სრულიად უფარავდა სახეს, თითები მეტად გრძელი, და გარეგნობით უფრო ნადირს წააგავდა, ვიდრე ადამიანს. როდესაც თავის განმათავისუფლებელნი დაინახა, საშინლად შეეშინდა. ეს უბედური ქმნილება სრულიად განუვითარებელია, როგორც გონებით, ისე ფიზიკურად, და ყოველი გრძნობა დაზხული აქვს. მაგალითად, იმას სიხარულით უნდოდა ხელი ეტაცა ანთებული სანთლის შუქისთვის. სიარული ძლივს შეუძლიან; გაქცევა უნდოდა და წაიქცა. ძალიან გაიხარა, როდესაც ბავშვის სათამაშოები აჩვენეს, მეტადრე ჟღარუნები. როდესაც დაინახა, რომ კატის კნუტი თამაშობდა, ისე შეეშინდა, რომ გაიქცა, მაგრამ იმ წამსვე დაეცა. ერთად ერთი სიტყვა, რომელსაც ის წარმოსთქვამს ხოლმე არის—„ჯონ“; ასე ეძახდა იმის მამა მოსამსახურე ბიჭს.

გარდა ამისა, ისა ბაძავდა ზარების წკარუნს და აგრეთვე პირუტყვთა ხმას, რომლებიც ფერმაში იყვნენ და რომლებიც იმას თავის დღეში თვალით არ დაენახა. ამ ჟამად რამდენიმე მეცნიერი შეუდგა იმის აღზრდას, ზოგიერთ საქმეში შესანიშნავ ნიჭს იჩენს. იმისი მზრუნველობა იმისმა ბიძამ იკისრა, დეიტრიხის ძმამ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 მარტი

ომსკი. დღეს ექიმებმა, ფარმაცევტებმა და ბეითლებმა პანაშვიდი გადაიხდეს ოლქის ინსპექტორის დუხომსკის სულის მოსახსენებლად.

ჩიტა. პარასკევს გასული მატარებელი გაჩერებულია ადრიანოვკაში თოვლების გამო.

ასხაბადი. შემხედთა სასარგებლოდ ერთთვეში შეგროვდა 2,842 მან. ადგილობრივი განყოფილება წითელის ჯვრისა აპირებს ააშენოს თავ-შესაფარი კეთროვანთათვის კრასნოვოდსკის მაზრაში.

ყაზანი. „ვოლჟსკი ვესტნიკი“ იტყობინება პროფესორ ლვოვის სიკვდილის ამბავს.

მიტავა. კურლიანდიის გუბერნატორმა გახსნა მეფე-მშვიდობის მოყვარის სახსოვრად ლიბავაში ტაძრის აგების კომიტეტის მოქმედება.

ჟიტომირი. მიღებულია საერო განათლების მინისტრის პასუხი შესახებ საშუალო ტეხნიკური სასწავლებლის დაარსებისა ჟიტომირში; ის გაიხსნება, თუ ადგილობრივი დახმარება აღმოჩნდება.

კოვნო. მოქალაქე ბალოშერმა ნება-რთვა მიიღო გამოსცეს კოვნოში კერძო გაზეთი, სახელად „კოვენ. სპრავოჩნი ლისტოკ.“

კიევი. მოძრაობის უფროსთა კრება შესდგება 26 აპრილს.

პოლტავა. პოლტავის ერობის შეამდგომლობა, შესახებ რვა საერობო განყოფილების წიგნთ-საწყობის გახსნისა მაზრაში, შეწყნარებულია.

ვარშავა. გაზეთ „კურიერ პორანნი“-ს 25 წლიწადი შეუსრულდა.

კრონშტადტი. გუშინ გახსნეს თავ-შესაფარი გლეხების ბავშვებისათვის; პარაკლისი გადაიხადა მამა იოანნემ.

სამარა. საერობო გამგეობის სადგომში გაიმართა ადგილობრივ მხატვართა სურათების გამოფენა.

ჩისტოპოლი. ხორბლის მოზიდვა შესწყდა. ნავოსნობის გახსნას ჩვეულებრივზე ადრე მოელიან.

ვლადიმირი. სასამართლოს თავმჯდომარემ გრაბომ გახსნა იურიდიული საუბრები თვეში ორჯელ.

პარიზი. დეშანელმა სიტყვა წარმოსთქვა და შეაქო პარლამენტის რეჟიმი, ამასთანავე განაცხადა თავისი სიყვარული მამულისა და რევოლიუციის პრინციპებისადმი. (ეცირიდი: „გაუმარჯოს რესპუბლიკას“.) სენატმა გაათავა ღამის სხდომა და დაადგინა, ხვალ შეიკრიბონ, ხოლო პალატამ, რომლის სხდომაც დილის 5 საათ. და 5 წუთ. გაგრძელდა, მიიღო სენატისაგან მოხდენილი ყველა ცვლილებანი და დაამტკიცა ბიუჯეტი ერთიანად 367 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 80-სა.

მოსკოვი. ზემო ბაზრების აქციონერთა კრებამ დაადგინა ას-მანეთიან აქციაში მიეცეს სამი მანეთი; 2,000 მანეთი მოსამსახურეთა ბავშვების აღსაზრდელ თანხას მიემატოს.

მოსკოვი. ბავშვთა მზრუნველობის ურთიერთ დახმარების საზოგადოება გაიხსნა.

სიმბირსკი. „გუბერნ. ვედომოსტების“ რედაქტორს გორბაკოვს გოგოლის თანამედროვე და მცნობმა ფერშალმა ზაიცევმა მასალა მოუტანა მწერლის უკანასკნელი დღეების შესახებ.

პეტერბურგი. დღეს, 17 მარტს, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე მეუღლით, ქალით და ვაჟებით წავიდნენ თავის მამულ აიტადორში.

18 მარტი.

მოსკოვი. მოსკოვიდამ წასულ მატარებელს ბრესტის გზაზე შეემთხვა უბედურება. ვაგონი—რესტორანი რელსებს ასცდა, ორი ვაგონი გადავარდა თხრილში, შვიდი მგზავრი დაზიანდა.

ლოძი. კალიშის გზაზე ბეჯითად მუშაობენ. რელსები დაწყეს, რამდენიმე თვის შემდეგ გაათავებენ მუშაობას.

ხარკოვი. ხარკოვის სადგილ მამულო ბანკის აკციონერთა მორიგმა კრებამ განიხილა და დაამტკიცა გამგეობის და დამფასებელ კომისიის ანგარიში 1901 წლისა. აღებ-მიცემობა ჰქონია 117 მილიონამდე. ზარალის დასაფარავ გადადო 4, 783,206 მან.

იალტა. იმპერატორი ალექსანდრე III-ის სახელით იალტაში გამართულ სანატორიის სასარგებლოთ 17 მარტამდე შეუწირავთ 25,000 მან. ამ ჟამად საავადმყოფოში არის 19 სული. არავინ მომკვდარა. ყირიმში ხალხი ჯერ ნაკლებ მოდის.

პარიზი. არჩევანები პარლამენტში დანიშნულია 14 აპრილს.

პეკინი. ჰეჩილის სამხრეთ ნაწილში მოხდა არეულობა იმის გამო, რომ მოხელეთ უნდოდათ ხარჯის გარდახდევინება კათოლიკების სასარგებლოთ. ამბობენ, ბევრია დახოცილი.

სოფია. საზღვარზე მდებარე სოფ. სარაჩის ახლო მოხდა შეტაკება ბოლგარელთა და ოსმალელ დარაჯთა შორის. რომდენიმე დაჭრილია. მოკლულია ბოლგარიის უნტერ-ოფიცერი.

ფრანკფურტი. „აგენცია იტალიანა“-ს სააგენტო გამოცემაში დაბეჭდილია, რომ გრაფ ბიულოვის და პრინეტის შეხვედრას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა.

ორივე სახელმწიფოების წარმომადგენელნი ერთისა და იმავე შეხედულებისანი არიან და სავაჭრო ხელ-შეკრულობის შედგენის შესახებ არავითარი სერიოზული დაბრკოლება არ იქნება. ამასთანავე ორივე გულით მოწადინებულნი არიან დაცულ იქმნას გერმანიასა და იტალიას შორის წინანდელი განწყობილება.

პეტერბურგი. დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე მეუღლითურთ და თავის ასულით გაემგზავრნენ საზღვარ-გარეთ.

პეტერბურგის ბირჟა 18 მარტს

ვექსილის კურსი 6 თვიდ:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,70	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96⅝	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	98¾	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	469½	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364¾	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	307½	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89⅛	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ცირეწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ სამიწად-მოქმედო-სახელოსნო ახალშენთა და თავშესაფართა მმართველობა, თანახმად საზოგადოების წესდების § 16, უმორჩილესად სთხოვს ბ. ბ. საზოგადოების წევრთ, მობრძანდნენ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, რომელიც შესდგება ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში, ორშაბათს, 25 მარტს ამა 1902 წლისა, შუადღის 12 სათზე.

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში მმართველობის მოქმედებისა 1901 წელს.

2) ფულის ანგარიში საზოგადოებისა 1901 წლ.

3) გამასწორებელი ახალშენის ანგარიში 1991 წ.

4) შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოებისა 1902 წლისთვის.

5) სარევიზიო კომისიის მოხსენება 1901 წ. ანგარიშისა და 1902 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

6) კითხვა მმართველობის ახალი წევრების არჩევანების გამო იმათ სამაგიეროდ, რომელთაც ვადა გაუვიდათ საზოგადოების წესდების 22 მუხლის ძალით.

7) კითხვა ფ. ა. ბიკოვის მიღებაზე საპატიო წევრად საზოგადოებისა.

8) კითხვა კავკასიის გამასწორებელი სამიწად-მოქმედო-სახელოსნო ახალშენის წესდების მე-2 მუხლის შეცვლის გამო.

შენიშვნა: საზოგადო კრება შესდგება, უკეთუ კრებას დაესწრება არა ნაკლებ 20 წევრისა. (საზოგ. წესდ. 17 მუხლი). (3—3).

Дозволено цензурою Тифлисъ, 18 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.